კლდე

№ 9

11 გიორგობისთვე 1912 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.,—5 მან. ამა 1912 წლ. დამლევამდე—1 მან., 50 კაპ. სოფლის მასწავლებელთ, სამ-კითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. №3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: ნაციონალიზმი.—**ა—ისა.** საურთო-ურთიერთობის საზოგადოებანი საქართველოში.—**დ. ვაჩნაძესი.** ნ. თავდგირიძეს მოხსენება. ბალკანეთის გარშემო.—**რ. გ.—ესი.** ქართველობა ბაქოში.—**ალ. ნ—ისა.** პეტრე ბაგრატიონი.—**ალ. ფრონელისა.** წვრილი კრედიტი კახეთში.—**ძევერელისა.** ნარევი. ჩვენი ფოსტა.

ნაციონალიზმი

ვარშავის არჩევნებში ებრაელთა დახმარებით სოციალიტსმა იაგელლომ გაიმარჯვა. უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლონეთის სოციალისტები ავტონომიის მომხრენი არიან და ამ მხრივ სოციალისტი დეპუტატი პოლონეთის ავტონომიას თავის მოთხოვნილებათა წინა რიგში ჩააყენებს. სოციალისტ ჩხეიძის არჩევამ ჩვენში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩხეიძე რომ ავტონომისტი იყვეს, მის არჩევას არც ეს უკმაყოფილება მოჰყვებოდა.

მაგრამ სულ სხვანაირად შეხედა სოციალისტ-ავტონომისტ დეპუტატის არჩევას პოლონეთმა. საზოგადოებრივმა აზრმა დაჰკმო ებრაელთა მოქმედება, რომელთა ხმებითაც იქმნა უმთავრესად არჩეული იაგელლო და პოლონელთა და ებრაელთა შეტაკებამ უკიდურესობამდე მიაღწია.

რადგან პოლონეთისათვის ამ ფაქტში ყველაფერი ნათელია, ჩვენ გვსურს სწორედ ამ პოლონელ-ნაციონალისტის თვალსაზრისით შევეხოთ მასა და სწორედ ისე ავხსნათ საკითხი, როგორც პოლონეთში უცქერიან. პოლონეთი მარტო ტიპიური ქვეშევრდომი ქვეყნა კი არაა, სადაც ეროვნული უფლებანი მინიმუმამდე არის მიყვანილი, იგი ტიპიურია, როგორც, ეროვნულ ნიადაგზედ აღმოცენებული ანტოგონიზმის ქვეყანაც. ებრაელები, რომლებიც საკმაო რიცხვს წარმოადგენენ პოლონეთში და რომელთაც დაპყრობილი აქვთ მრავალი დარგი პოლონეთის ეკონომიურ ცხოვრებისა, საკმაო საბუთს იძლევიან ამ ანტოგონიზმისათვის პოლონეთში.

მეორეს მხრივ, პოლონეთის ცხოვრება ულტრა ეროვნულია. კულტურა პოლონეთისა იქამდის მდიდარია, ეროვნული იდეალი იქამდის გაბატონებულია მთელს პოლონეთში, რომ ეროვნული პოლიტიკა, განელებული და შეკვეცილი შემავალ ელემენტებით, წარმოუდგენელი კომპრომისი იქნებოდა. ენა, ეკლესია და ტერიტორია—აი, უმთავრესი ფაქტორები, რომელთაც შეჰქმნეს ეროვნული პოლიტიკა პოლონეთისა. ისტორიული ზრდა და ვითარება პოლონურ ნაციონალიზმისა ეკლესიიდან და სკოლიდან დაიწყო და როდესაც მას სურდა უფრო უძლიერეს ფაქტორზედ დაემყარებინა თავისი მომავალი, სახელდობრ ეკონომიურზედ, იგი ებრაელებს წააწყდა. პოლონეთა, რასაკვირველია, ისე სუს

ტი არ არის ეკონომიურად, რომ მეტოქეობა ვერ გაუწიოს ებრაელებს და სწორედ ამ მეტოქეობის შედეგია ის ფაქტი, რომ არჩევნებში ვარშავის ებრაელები სოციალისტს უჭერენ მხარსა.

ნაციონალიზმის ტრადიციებზედ აღზრდილ პოლონელისთვის, სოციალიზმი, როგორც ეროვნული მებრძოლი ძალა, რასაკვირველია, დამაკმაყოფილებელი არ არის. და ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალიზმის თვალსაზრისითაც და ნაციონალიზმის თვალსაზრისითაც პოლონელი ამაში მართალია. სოციალიზმი, რომელიც ხშირად თვითონვე იძულებულია ნაციონალიზმის წინააღმდეგ ამხედრდეს, ცხადია, ვერ იკისრებს მის მოვალეობას. თანამედროვე პოლონეთის მდგომარეობა კი ნაციონალიზმს ითხოვს. იდეალი ყველა ნაციონალიზმისა უეჭველად სახელმწიფოა; ამიტომ, ნაციონალური პოლიტიკა არსებითად სახელმწიფოებრივი პოლიტიკაა. სოციალიზმი კი ძუდამ წინააღმდეგია სახელმწიფოსი. ამ მხრივ, სოციალიზმი მხოლოდ მოწყალე სამარიელია, რომელიც ეროვნულ პოლიტიკის გზაზედ მუდამ ვერ შეხვდება ნაციონალიზმს, რომ დახმარების ხელი გაუწოდოს. მას შეუძლიან დაიცვას იგი როგორც იდეა, მაგრამ სოციალიზმა რომ მთლად მისი ადგილი დაიჭიროს ეროვნულ ბრძოლაში, ეს არსებითად ყოვლად მოუხერხებელია.

ასეთია როლი სოციალიზმისა და ნაციონალიზმისა დამონებულ ერებში და მეტადრე იქ, სადაც ერთ მთავარ ერის გარდა, თავი მოუყრია კიდევ მეორე ერის უმცირესობას.

რასაკვირველია, ებრაელები დამნაშავენი არ არიან, რომ ბედმა მათ პოლონეთში არგუნა ცხოვრება. პირიქით იყო ისეთი დრო, როცა პოლონეთის მეფენი თითონ იწვევდენ ებრაელებს გერმანიიდან, მაგრამ ამაში ყველაზედ ნაკლები დანაშაული თანამედროვე პოლონელებს მიუძღვით. თანამედროვე პოლონეთის ცხოვრება კატეგორიულად მოითხოვს ცხოვრების ყველა დარგის ნაციონალიზაციას და ეროვნული ცხოვრების ყველა ფაქტორთა მობილიზაციას.

იმ ბრძოლაში, რომელსაც პოლონეთი ეწევა თავის საკეთილ დღეოდ, რასაკვირველია, იქნება ზიანი ებრაელთათვის, რომელთ ეკონომიურ ბატონობას ველარ ითმენს იგი, მაგრამ ეს ისეთი ბუნებრივი მოვლენაა, რომ ამ პროცესის წინააღმდეგ სოციალისტ დეპუტატების არჩევით ბრძოლა, ძვირად თუ მიაღწევს თავის მიზანს. ხოლო, რაც შეეხება ებრაელების ასეთ დემონსტრატიულ გალაშქრებას პოლონურ ნაციონალიზმის წინააღმდეგ, იგი თავისთავად გულისხმობს ებრაელების მიერ პოლონეთის ეროვნული პოლიტიკის უარყოფას და, როგორც ასეთი, იგი მუდამ დაიმსახურებს პოლონეთის საყვედურს.

ასეთია მოკლედ თვალსაზრისი პოლონურ ნაციონალიზმისა და თუ ამაში ჩვენ ვერ ვხედავთ თავბრუ დამსხმელ ლიბერალიზმს ცუდათ გაგებულ ინტერნაციონალიზმისას, სამაგიეროდ იგი სავსეა სამაგალითოდ შემუშავებულ ეროვნულ გეგმით. თუ ერი თანაბრად არ ანვითარებს ცხოვრების ყველა დარგს, იგი ვერ მიაღწევს სათანადო მიზანს და ვერც პოლონეთი დასთანხმდება, რომ იგი ეკონომიურად დამოკიდებული იყვეს ებრაელისაგან. ამაშია პოლონელ-ებლაელთა ანტოგონიზმიც. პოლონელი ებრძვის ებლაელ კაპიტალისტს მაგრამ ეს ხომ იმას ჰგულისხმობს, რომ, თავის დაკვალად, ებრაელი კაპიტალისტიც ებრძვის პოლონელს. და წორედ ეს არ უნდა დაივიწყონ მათ, ვინც მუდამ თანასწორობაზედ და უფლებაზედ ჰყვირის. ეს ბრძოლა ახასიათებს პოლონეთის ეკონომიურ ცხოვრებას, ეს ბრძოლა გამომდინარეობს ეროვნულ ინტერესების სიღრმიდან და მარტო თანასწორ უფლებიანობის პრინციპით მისი შეჩერება არ შეიძლება.

საჭიროა უპირველესად ყოვლისა გარდაწყვეტა რთულ ეკონომიურ-ეროვნულ საკითხებისა და თვით ეს გადაწყვეტა შეიტანს ცხოვრებაში თანასწორობის პრინციპს.

ა.—ი.

საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებანი საქართველოში

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა შორის ერთ ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებათ.

ამ საზოგადოებათა უმთავრესი მიზანია — მიიზიდოს თავის წევრებისაგან რაც შეიძლება მეტი შესანახი ფული და მათვე მიეშველოს გაჭირების დროს მოკლე ვადიანი სესხით (6 თვით).

მათი წესდებით, საერთო სესხის პირობები ადვილ საშუალებას აძლევენ მოვაჭრე კაცს, მრე-

წველს, სახლის პატრონს სოფლის მემამულეს—6 თვის განმავლობაში ხელი მოინაცვლოს, თავისი საქმე გამოაკეთოს და დროზედ დაუბრუნოს „საზოგადოებას“ გატანილი ფული. ამით აიხსნება, რომ საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებანი უმეტეს შემთხვევაში მოქმედობენ იქ, სადაც ვაჭრობა-მრეწველობაა განვითარებული, ან სხვა ზურგ გამაგრებულ ელემენტთა შორის, ე. ი. ქალაქებში და იმ პროვინციის დაბებში, სადაც ხსენებული ელემენტი სამყოფად არის.

ამ რიგად, ეს საზოგადოებანი ემსახურებიან წვრილ ბურჟუაზიის წოდებას, რადგანაც მსხვილ ბურჟუაზიას საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების სესხი უმეტეს შემთხვევაში არ აკმაყოფილებს და ძალაუნებურად მიისწრაფება უფრო მდიდარ საკრედიტო დაწესებულებისკენ – სააქციონერო ბანკებისაკენ.

საურთი ერთო ნდობის საზოგადოება საერთო საკრედიტო სისტემაში, მეორე საფეხურზე სდგას. პირველი საფეხური უჭირავს წვრილ საკრედიტო კოოპერაციას, რომელიც აწვდის სესხს იმ ხალხს, რომელსაც უფლება და ძალა ვერ შესწევს საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების ან სააქციონერო ბანკის კრედიტით ისარგებლოს. მე მყავს მხედველობაში ჩვენი სოფლის ხალხი—გლეხობა. მათ, ხსენებული ბანკები ხელს ვერ უწყობენ, იმიტომ რომ მათი სესხი მოკლე ვადიანია და საერთოდ გლეხისთვის ძნელი გამოსატანია.

საქართველოში დღევანდლამდის მუშაობს 13 საურთი-ერთო ნდობის საზოგადოება: **ქუთაისისა, თბილისისა, სოხუმისა, ფოთისა, ხონისა, ბათომისა, ჭიათურისა, ყვირილისა, ზუგდიდისა, გორისა, სამტრედიისა, სიღნაღისა ად ახალსენაკისა.**

ქართველ ერის ეკონომიურ ცხოვრების მოწყობაში ამ საზოგადოებათ თავისი წვლილი კიდეც შეუტანიათ და უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში ქართული საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებანი შეიქმნებიან მის ერთ-ერთ ძლიერ ფაქტორად.

ამიტომ საინტერესო იქნება გაკვრით თვალი გადავავლოთ მუშაობას ზოგიერთ ამ საზოგადოებისას.

ქართულ საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებათა მდგომარეობა.[1])

1 იანვარს 1912 წ.

საზოგადოების სახელი	რამდენი წელიწადი მუშაობს	წევრების რიცხვი	ძირითადი თანხა	სათადარიგო თანხა	შესანახი თანხა	განაღდებული თამასუქები	სესხი სხვა და სხვა გირავნობის*	საერთო თანხის მობრუნება*
1. ქუთაისის	32	903	108.310 მ.	27.435 მ. 09	782 818 მ. 23 კ.	733.974 მ. 01 კ.	133.895 მ. 19 კ	30.571.236 მ.90 კ
2. თბილისის	16	1247	116.267 მ.	15.881 მ. 16	515.452 მ. 08	462.017 მ. 3 კ.	112.626 მ. 85 კ.	13.838.514 მ.4 კ
3. ხონის	12	270	31.960 მ.	2.829 მ.	100.177 მ.	124.062 მ.	26.778 მ.	3.640.404 მ 52 კ
4. ზუგდიდის	12	372	27.372 მ.	1.865 მ. 26.	39.411 მ. 60 კ.	121.804 მ.	3.213 მ. 50 კ.	3 250 189 მ. 92 კ
5. ყვირილის	7	331	38.090 მ.	1.832 მ. 97.	46.568 მ. 48 კ.	130.118 მ. 7.	915 მ.	5.215.583 მ.70 კ
6. სოხუმის	—	819	127.835 მ.	—	*	808 449 მ.	124.446 მ.	26.756.831 მ.
7. სიღნაღის	**) 6 თვე	309	19.590 მ.	—	17.363-20	40 031 მ.	—	—
8. სამტრედ	**) 1	231	24.350	—	53.431 მ. 27 კ.	100.985 მ. 25 კ.	—	—

ცნობილია რომ საკრედიტო დაწესებულების სიძლიერე დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად მდიდარია იგი კლიენტების შემოტანილ შესანახ თანხით. ამ თანხის სიდიდე იმის მაჩვენებელია, რომ საზოგადოებას კლიენტურა დიდი ჰყავს, ნდობა დამსახურებული აქვს და მაშასადამე შეუძლიან თავისი საქმეები გაფართოვოს და მკვიდრად მოაწყოს.

ამ მხრივ ჩვენი საუთიერთო საზოგადოებანი ვერას დაიკვეხებენ. შესანახი თანხა შედარებით სა-

1) სამწუხაროდ, ყველა „საზოგადოებამ“ არ გამოგზავნათავისი ანგარიშები, შემდეგ, რომ მივიღებთ მათგან, შევავსებთ მოყვანილ ცხრილს. ეხლა კი უღრმეს მადლობას უხდით იმათ, ვინც ყურადღებით მოექცა ჩვენი რედაქციის თხოვნას და თავისი ანგარიშები მოგვაწოდა.

*) შესანახი თანხა სოხუმის საზოგ. 1 ივნისის. 1912 წ. ბალანსში უდრიდა 344.771 მ. 35 კ.

**) სიღნაღის და სამტრედიის საზ. ცნობები მოყვანილია უკანასკნელ ბალანსებიდამ (1 ივნისზ. 1912 წ.)

ოპერაციო თანხებთან (თამასუქების განაღდება და სესხი ხხვა და სხვა გირავნობისა), მეტად მცირეა. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში ხელმოჭერილობამ ჯერ ვერ გაიდგა ფესვები და მასთან ერთად ქართული მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა და საზოგადოთ აღებ-მიცემობა ძალიან ჰკოჭლობს—ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებათაც დიდი საყვედური არ ეთქმით. მაგრამ ამავე დროს უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებათ შესანახ თანხის გასაძლიერებლად მაინც ბევრი არ უფიქრიათ. მოყვანილ ცხრილიდამ ნათლადა სჩანს, რომ უმეტესი ნაწილი ამ საზოგადოებათა თამასუქების გადაგირავებით და სხვა ამ გვარ ვალებით საზრდოობს და ხშირად დამოკიდებულია ისეთ დაუდეგარ პასივზე, როგორიცაა საკორესპონდენტო ოპერაციები. ამით ხასიათდება მოკლედ დღევანდელი მათი პრაქტიკული მოღვაწეობა.

ეს კი იმის დამამტკიცებელია, რომ მათ ოპერაციებს მაინც და მაინც მკვიდრი საფუძველი არა აქვთ; ამნაირი მიმართულებას კი შეუძლიან ისინი ხიფათს გადაჰკიდოს.

ჩვენმა საკრედიტო მოღვაწეებმა უნდა მიაქციონ თავისი ყურადღება საკუთარ თანხების გადიდება-გაძლიერებას (ძირითადი, შესანახი და სათადარიგო თანხები) და ამით წასწიონ ამ „საზოგადოებათა" მუშაობა გაფართოვებისაკენ, გამაგრებისაკენ.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, თუ ვინ სარგებლობს დღეს საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების სესხით.

ამაზედ ქვევით მოყვანილი ცნობები აი რა პასუხს იძლევიან:

წევრების პროფესიებად დაყოფა. *)

	ქუთაისი	თბილისი	ზუგდიდი.
1. სოფლის მეურნეები	65	471	88
2. მეშამულენი, რომელნიც მეურნეობას არ მისდევენ.	„	269	5
3. სახლის პატრონები	206	234	10
4. ვაჭარ-მრეწველნი	504	103	202
5. ხელოსნები	5	30	40
6. სხვადა სხვა დაწესებულებაში მოსამსახურენი	91	89	27
7. თავისუფალ პროფესისა	32	51	„

*) სხვა საზოგადოებათა ანგარიშებში ეს საინტერესო ცნობები არ იყო მოყვანილი.

ეს ცნობები კვლავ გვიმტკიცებენ, რომ ამ საზოგადოებათა კლიენტურა უმეტესად შესდგება ვაჭრებისა, სახლის პატრონებისა და მემამულეებისაგან, რომელთაც მოკლე ვადიანი სესხი უმართავს ხელს. ამ ნაირი მიმართულება საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების სესხისა ბუნებრივია და სწორ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამ საზოგადოებათა მოვალეობაა ჩვენ წვრილ ბურჟუაზიას ხელი შეუწყოს, ზურგი გაუმაგროს და გზები გაუკაფოს ვაჭრობა-მრეწველობისაკენ. აქეთ-ტომ მათზე სესხის გაცემაში იდეური მიმართულებაც (საკრედიტო პოლიტიკა) უნდა იმალებოდეს. უკანასკნელი დიდ ძალას შეჰმატებს ამ „საზოგადოებათ", რადგანაც ეს იდეა ჯანსაღია და მჭიდროდ დაკავშირებული ჩვენი ერის მომავალ ეკონომიურ აღორძინებასთან.

ხსენებულ იდეის მწყობრი განხორციელება საფუძვლად უნდა ედოს ჩვენი საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებათა საკრედიტო პოლიტიკას.

მართალია, მარტო საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებათა მოღვაწეობა არ კმარა საერთოდ ქართველ ბურჟუაზის გამაგრებისათვის; უკანასკნელ დროს ჩვენს საზოგადოებაში სააქციონერო ბანკის დაარსების აზრიც ტრიალებს. მართალია ამისთანა ბანკის მოწყობა აუცილებელი იქნება ჩვენთვის. მაგრამ მაინც ეს ნაადრევად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მის დაარსებისთვის ქართველობას დღეს ძალა არ შესწევს, და უფრო გონივრული საქმე იქნება ჯერ საუთი-ერთო ნდობის საზოგადოებანი მკვიდრად დადგნენ, გაძლიერდნენ და ამის შემდეგ მესამე საფეხურზედ ასდგან ფეხი. ერთი რამ ესაჭიროება კიდევ ქართულ საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებათ—არა ჰყავთ მომზადებული და მცოდნე მომუშავენი. ეს ნაკლი უნდა დროზედ შეივსოს, თორემ მათი მომავალი ყოველთვის ბურუსში იქნება გახვეული. ყოველ საქმეს და მეტადრე კრედიტისას, სჭირია მცოდნე და ინიციატივით გამსჭვალული მუშაკები, ჩვენში კი ამ ნაირი მუშაკები საუბედუროდ სანთლით საძებნელია; ამიტომ აუცილებელია მომზადება ჩვენი ახალგაზრდობისა საკომერციო სასწავლებლებში, როგორც საშუალო, ისე უმაღლესში, პოლიტეხნიკუმებში (საეკონომიო განყოფილებაზედ) და სხვა. ქართველი საზოგადოება ამისათვის ხარჯს არ უნდა მოერიდოს, რადგანაც ეს ხარჯი მომავალში ასჯერ აუნაზღაურდება ეროვნულ-ეკონომიურ ცხოვრების გაფურჩქვნით, ქართველ ხალხის გამდიდრებით და გაძლიერებით.

დ. ვაჩნაძე.

თავმჯდომარე სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა გვწერს:

„ყოველ-კვირეულ ჟურნალ
„კლდე“-ს რედაქციას.

გიგზავნით ქართულად და რუსულად ჩვენ მოხსენებას რწმუნებულთა სისტემის შემოღების საჭიროების შესახებ ბანკის საქმეების წესიერ მიმართულებაზედ დასაყენებლად; რადგანაც ამ საკითხს საერთო მნიშვნელობა აქვს, იმედი გვაქვს, თქვენ ჟურნალში მოათავსებთ ამ მოხსენების შინაარსსა, რათა სხვა ჩვენებური ბანკების წარმომადგენლებმაც წაიკითხონ და, თუ საჭიროა, დამატებითი აზრიც გამოსთქვან.

თქვენი კეთილის მსურველი, თავმჯდომარე სოხუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა ნიკო თავდგირიძე.“

თანახმად ბ. თავდგირიძის სურვილისა, ვბეჭდავთ ამ მოხსენებას ჩვენი საურთი-ერთო ნდობის საზოგადოებათა საყურადღებოდ:

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

თავ. ნ. ყ. თავდგირიძისა

რწმუნებულთა სისტემის შემოღების შესახებ.

ყოველ გვარ საქმეში, განსაკუთრებით კი იმისთანა გარემოებაში, რომელიც შეეხება საკრედიტო დაწესებულებათა მართვა-წინამძღოლობას, დიდი და არსებითი მნიშვნელობა აქვს მართვა-გამგეობის სისტემას. საზოგადოთ, ყოველგვარი საზოგადო საქმე თხოულობს მეტისმეტად დაკვირვებულ აწონ-დაწონასა და ფრთხილად მოპყრობას ცხოვრების მიერ წინ წამოყენებულსა და მომწიფებულ კითხვის გარდაწყვეტის დროს; განსაკუთრებით კი დიდს წინდახედულობასა და სიფრთხილეს თხოულობს ფინანსიურ-კომერციულ წინადადებათა და საკითხების განხილვა. იმ დაწესებულებებში, რომელთა ნიშნობლივი დანიშნულებაა ადმინისტრატიული მართვა-გამგეობა, იმდენს ზარალსა და თან ისე მოკლე დროში ვერ მოიტანს მათ მოთავეთა, ცხოვრების შეუფერებელი, გარდაწყვეტილება-განკარგულება, როგორც ეს ხდება ხოლმე საკრედიტო-ფინანსიურ დაწესებულებებში; არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა იმისი, თუ როგორ ამ გვარ დაწესებულებათა ხელმძღვანელების, დროის შეუფერებელ დადგენილება-განკარგულება არ განხორციელებულა ცხოვრებაში შესაფერ პირობათა უქონლობისა გამო და მაშასადამე არავითარი ზარალიც არ მოუტანია მათთვის, ვისთვისაც ის იყო დანიშნული. სულ სხვაა კომერციული დაწესებულება: აქ ყოველივე უხერხული და უსწორი, დროისა და მიზნის შეუფერებლად გადადგმული ნაბიჯი მისი მმართველ ორგანოსი, ამ შემთხვევაში საზოგადო კრებისა, დაუხანებლივ დაეტყობა თვისი სამწუხარო შედეგებით საქმეთა მსვლელობას. თითოეული ამისთანა მიზნის შეუფერებელი გადაწყვეტილება პირველსავე მის ცხოვრებაში გატარების დროს აყენებს დიდსა და აუნაზღაურებელ ზარალსა; და აი ამიტომ ყოველ გვარ ფინანსიურ, თუ საკრედიტო საკითხების გარდაწყვეტილების დროს საჭიროა თუ სპეციალური, ნამდვილი ცოდნა არ არის საქმისა, ცოტათი მომზადება-გამოცდილება მაინცა რაიცა, ჩვენდა სავალალოდ, ამ გარემოებათა გამწვავებულ დროის წყალობით ბევრს არ მოგვეპოვება, არა გვაქვს. ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენი სოხუმის საურთი-ერთო ნდობის ბანკმა ხალხთან დაახლოვებაში სხვა თავის მოძმეთ წინ წაუსწრო: საზოგადოების დიდ ნაწილის კუთვნილებად გარდაიქცა. თავის მომავალ მოქმედებაშიაც ჩვენი ბანკი ყოველგვარ ზომას მიიღებს და ეცდება დაიკავშიროს და დაიახლოვოს ფართე მასსა, რათა ამით მეტი სესხიც გასცეს და მეტი მოთხოვნილებაც დააკმაყოფილოს. მაგრამ ამასთანავე მისს მოთავეთ ესაჭიროებათ მცოდნე და მიუდგომელ ადამიანთა მკაცრი კრიტიკა და ზედამხედველობა: ამას უნდა ყოველთვის და ყოველ დროს ბეჯითად თვალ-ყური ადევნებდნენ და სწორ გზაზე სიარულში ხელს უწყობდნენ; მოსალოდნელ შეცდომათა თავიდან ასაცილებლად უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელნიც ბანკის უმთავრეს ბატონ-პატრონთ და მის საქმეთა მეკონტროლე, საერთო კრებას, თავისი მოვალეობის პირნათლად ასრულების საქმეში ხელი შეუწყოს, დაეხმაროს. ამ ჟამად ჩვენს საზოგადოებაში 900 წევრია, ამასთან, სასიხარულოთ, თან-და-თან მათი რიცხვი მატულობს, და თუ ამ გზით იარა ბანკმა და რაიმე არა ნორმალურ საშუალებებმა ხელი არ შეუშალა მსურველთ წევრად ჩაწერისა, ერთი წლის განმავლობაში მათი რიცხვი ათასს გადემატება. ამდენ წევრთა თავმოყრა და მათთვის შესაფერი ბინის შოვნა, სხვაც რომ არა იყოს რა, მოუხერხებელია და მასთან, როგორ უნდა მოეწყოს საქმე ისე რომ ამ აუარებელ კრებას სერიოზული მოხსენება, თუ რაიმე განსჯა, საჭირო კითხვის განმარტება გადაეცეს? არავითარი საშუალება აღარ არის ამისათვის; გარდა ამისა აწონ-დაწონაც რამე რთულ კომერციულ საკითხების დიდ საზოგადოებაში შეუძლებელიცაა და თან სახიფათოც, რომელსაც ხშირად მოსდევს არა სასურველი და საზარალო შედეგები; აი ამის გამო ყოველგან ამ უხერხულების თავიდან ასაცილებლად მიღებულია წევრთა საერთო კრების მაგიერ რთულ ფინანსიურ საკითხების გარდასაწყვეტად წარმომადგენლობითი სისტემა მარ-

თვა-გამგეობისა, ანა და საზოგადო კრების მაგიერ ზედამხედველ ორგანოდ არის დანიშნული საზოგადოებისა და წევრთ უმრავლესობის ნდობით აღჭურვილი, არჩეულნი პირნი-წარმომადგენელნი; როგორი კრიტიკის ქარცეცხლშიაც უნდა გაატარონ ეს წარმომადგენლობითი სისტემა და რამდენი არა ნორმალური მხარეც არ უპოვონ მას, მაინც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ სისტემის წყალობით მეტი ნაყოფიერება დაეტყობა ბანკის მოქმედებას, უფრო მეტს კონტროლსა და ზედამხედველობას მიჩენენ საქმესა, ამით უფრო ადვილია მოსალოდნელ შეცდომების თავიდან მალე აცდენა და, მაშასადამე, ბანკის მტკიცე წინმსვლელობა უზრუნველ ყოფილია. თუ რუსული ანდაზა მართალია რომელიც ამტკიცებს: ერთი ჭკუა კარგია და ორი კიდევ უკეთესიაო, მით უფრო პრაქტიკული და ცხოვრების შესაფერი და ლოღიკის კანონით შესაწყნარებელია, რომ საზოგადოების ნდობით აღჭურვილი არჩეული ადამიანი უფრო მაღლა უნდა იდგეს ასეთ კითხვების გარდაწყვეტის დროს, ვინემ მისი ამომრჩევლები; რა თქმა უნდა, შეცდომა აქაც მოსალოდნელია, მეტსაც ვიტყვით, ბოროტებაც კი შეიძლება მოჰყვეს, ამ წესს, გარნა თვით პრინციპი არ არის საცილობელი. შეცდომები თავიდან ადვილი ასაცილებელია, გარნა თვით პრინციპი კარგია და ყოველ შემთხვევაში გამოსადეგია. მხოლოდ საქმის სიყვარულმა და ამით გამოწვეულ მოსაზრებათა გამო გარდავსწყვიტე თქვენ გირჩიოთ—შემოიღოთ წარმომადგენლობითი სისტემა, რათა მით უფრო მკვიდრ საფუძველზე დადგეს ჩვენი სიმპატიური სოხუმის საურთი-ერთო ნდობის ბანკი; და ცხოვრების მკაცრ ბრძოლაში საუკეთესო იარაღი იქონიოს ძველ წევრთა საერთო კრების მაგიერ უნდა შემოღებულ იქმნას წარმომადგენელთა მართვა-გამგეობა.

რწმუნებულთა კრება

§ 33. საზოგადოების უმთავრესი მმართველობა ეკუთვნის რწმუნებულთა კრებას, რომელიც წესდების ფარგლებში საბოლოოდ სწყვეტს ყოველივე საკითხს ამ საზოგადოების შესახებ.

§ 34. საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების რწმუნებულთ ირჩევენ ამ საზოგადოების ყველა წევრნი სამი წლის ვადით, რიცხვით 120 კაცს, ამრიგად:

ა) რწმუნებულთა ასარჩევად საარჩევნო კრებები იმართება ყოველ სამს წელიწადს ერთხელ. ამ კრებებზე ხმის უფლება აქვს თითოეულ წევრს საზოგადოებისას. სააპეკუნო წევრთა მაგიერ მონაწილეობას იღებენ მათი აპეკუნები, ანუ მზრუნველები. არც ერთ წევრს კრებისას ერთი ხმის უფლების მეტი არა აქვს. საქციონერო საზოგადოებანი, თუ სხვა დაწესებულებანი, რომელნიც არიან წევრნი ამ საზოგადოებისა, ამ კრებებზე მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ერთი ხმით, რომელიც მონდობილი უნდა ჰქონდეს მათ წარმომადგენელს ცალკე რწმუნებით (Довѣренность). წარმომადგენელს რწმუნება ეძლევა ყოველ შემთხვევაში მხოლოდ ერთ საარჩევნო კრებაზე:

შენ. 1. რწმუნება ეძლევა ბარათის სახით საზოგადოების გამგეობის სახელზე და უნდა წარმოდგენილ იქმნას არა უგვიანეს სამი დღის საარჩევნო კრებისა წინედ.

შენ. 2. ის წევრი საზოგადოებისა, რომლის (საკუთარი ვექსილი) ხელმოწერილი ვექსილი, თუ ბლანკი დროზე გამოსყიდულ არ იქმნა და პროტესტში გავიდა, ჰკარგავს უფლებას საარჩევნო კრებაზე მონაწილეობის მიღებისას და მასთან არა აქვს უფლება რომელიმე თანამდებობაზე არჩეულ იქმნას, თუ კი ამ კრებამდე ორი ვირით ადრე არ გამოისყიდა.

ბ.) „მთავრობის უწყებაში“ და ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში გამოცხადების შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში ინიშნება რწმუნებულთა ასარჩევად საარჩევნო კრება; წევრთა სია უნდა იქმნას ჩამოკიდებული გამგეობის სადგომში შესაძლებელ შეცდომათა გასასწორებლად: ყოველ წევრს საზოგადოებისას აქვს უფლება ზემო აღნიშნულ დროის განმავლობაში, თუ რაიმე შეცდომა დაინახა ამ სიაში, განაცხადოს გამგეობაში, რომელიც ვალდებულია გაასწოროს.

გ) რწმუნებულთა ასარჩევად ბ.ბ. წევრთაგან სდგება სამი საარჩევნო კრება: თვითეული ამ კრებათაგანი აირჩევს ერთ მესამედს რწმუნებულებისას.

ამისათვის საზოგადოების წევრთა სია ამ რიგად სდგება: ვისაც საწარმოვო თანხაში ათი პროცენტიანი საწევრო თანხა შეუტანია, ის პირველად იწერება, ასე რიგ-რიგად ბოლომდის. შემდეგ, სიაში შეტანილ წევრთა რიცხვი იყოფა სამ კატეგორიად (რიგად): პირველ კატეგორიას (რიგს) ეკუთვნიან ყველა ის პირნი, სიის თავში მოქცეულნი, რომელთა ათ პროცენტიანი შესატანი შეადგენს ერთს მესამედს საზოგადოების საწარმოვო თანხისას; მეორე კატეგორიას (რიგს) ეკუთვნიან ის პირნი, სიაში შემდეგ შეტანილნი, რომელთა ათ პროცენტიანი შესატანი შეადგენს მეორე მესამედს საზოგადოების საწარმოვო თანხისას; მესამეს ყველა დანარჩენნი.

დ) თუ ვინიცობაა მესამე რიგის ამომრჩეველთა რიცხვი დიდი შეიქმნა, შეიძლება მათი კრება უბნებად დაიყოს თანასწორად და ისე შესდგეს კრებები. თვითოეული ასეთი კრება ირჩევს იმდენს რწმუნებულს, რამდე-

ნიც მას უწევს მესამე სარჩევნო კატეგორიიდან.

ე) თითოეული რიგის ამომრჩეველს ეძლევა უფლება აირჩიოს რწმუნებულნი, როგორც თავისი წრიდან, ისე სხვა რიგებიდანაც.

შენ 3. რწმუნებულად არ შეიძლება არჩეულ იქმნას ისეთი პირი, რომელიც საზოგადოების სამსახურშია მოწვეული და არა არჩეული.

ვ) სარჩევნო კრების თავმჯდომარეობს საბჭო (Совѣть) თავმჯდომარე, ანუ რომელიმე წევრი მისის საბჭოს მიერ არჩეული. არჩევნები სწარმოებს დაფარული ხმის მიცემით-კენჭებით.

არჩეულად ითვლებიან ის პირნი, რომელნიც მიიღებენ წევრთა ნახევარზე მეტს ხმებს (აბსოლიუტური უმრავლესობა). თუ აღმოჩნდა, რომ ასეთი (უმრავლესობის) ხმა რწმუნებულთა საჭირო რიცხვმა ვერ მიიღო, ამ შემთხვევაში რწმუნებულთა რიცხვის შესავსებად ისეთზოგია საჭირო: სდგება სია იმ წევრთა, რომელთაც მიიღეს შედარებით მეტი ხმა, მხოლოდ არა მეტი ორჯერ დამატებითი ასარჩევ რწმუნებულთა რიცხვისა, შემდეგ მხოლოდ ამ პირთ ეერება კენჭი ხელ-ახლად და ითვლება ამორჩეულად, ვინც შედარებით მეტი ხმა მიიღო. მაუხედავად იმისა, ნახევარზედ მეტი მიიღო, (აბსოლიუტური) თუ არა. თუ ვინიცობაა რამდენიმე პირმ თანასწორი ხმა მიიღო, ამ შემთხვევაში კენჭი (жребій) სწყვეტს საკითხს.

ზ) ეოველ გვარი შენიშვნა და პროტესტი არჩევნებზე შენიშნულ შეცდომისა, თუ უკანონო მოქმედების შესახებ, ამავე კრებაზე უნდა განეცხადოს კრების თავმჯდომარეს და იმავე კრებაზედვე უნდა იქმნას განხილული.

ც) თუ რომელიმე რწმუნებული ვადის გასვლამდის-საზოგადოებიდან გავიდა, მას ადგილს იკჭერს ის პირის ვისაც რწმუნებულთა შემდეგ მეტი კენჭი ამოუვიდა იმავ, კრებაზე, რომელზედაც არჩეული იყო რწმუნებული.

§ 35. რწმუნებულთა კრების განსახილველ საგნად ის საგნებია, რომელიც აღნიშნულია ამ წესდების § 39-ში.

§ 36. რწმუნებულთა კრება კანონიერია და მისი გადწყვეტილებანი სავალდებულო, თუ კი კრებაზე გამოცხადდა რწმუნებულთა არა ნაკლები მესამედისა. თუ ვინიცობაა დანიშნულ დროზე არ გამოცხადდა საჭირო რიცხვი რწმუნებულთა (მესამედი) კრება გადაიდება სხვა დროზე, ხოლო არა უადრეს ორი კვირისა. ეს კრება, რამდენიც უნდა დაესწროს, კანონიერად ითვლება.

ბალკანეთის გარშემო

ომი არ გათავებულა, მაგრამ ბოლო ცხადათა სჩანს. ბალკანეთის კავშირმა გაიმარჯვა და ევროპიელი ნაწილი ოსმალეთისა მოისპო. ერთი თვის განმავლობაში „გაჰქრა" მთელი იმპერიის არსებობა. გაჰქრა ოფიციალურად, მაგრამ ვინ ჩამოსთვლის აუარებელს შედეგს ამ ომისას, ვინ გამოიკვლევს იმ გავლენათა ძირებს, რომლებიც მოჰყვება ბალკანეთის ერთა განთავისუფლებას და დარჩენილ ოსმალთა შერევას ახალ სახელმწიფოთა ფარგლებში. ყველა ეს ისტორიის საქმეა. ეხლა ცხადი მხოლოდ ერთია, რომ ოსმალეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული და ბატონი მოისპო ევროპის კიდეზედ. შეანარჩუნებენ თუ არა „დიდი" სახელმწიფონი სტამბოლს, ამას მნიშვნელობა აღარა აქვს: ეს მხოლოდ მათ საკუთარ მისწრაფებათა, ინტერესთა და ძალთა-განწყობილებაზედ იქნება დამოკიდებული და არა ოსმალეთის ან ბალკანელების ქომაგობით და უსამართლობის მოსპობის სურვილით გამოწვეული. არ იქნება „ქმნა მართლისა სამართლისა", არამედ მარტოოდენ ეგოისტური თვალსაზრისით განსჭვრეტა მომავალისა.

ევროპამ არ იცის სანტიმენტალიზმის შეტანა პოლიტიკურ სფეროში და ლაპარაკი თავისუფლებაზედ, სიმართლეზედ, სისხლის ღვრის სიძულვილზედ—ყველა ეს თვალის ასახვევი სიტყვებია გულუბრყვილოთათვის და ნამდვილი მზაკვრული განცდანი დიდ სახელმწიფოთა, მათს დიპლომატიურ კაბინეტებში იბადებიან. ამ ბედს არც ერთი ევროპიელი სახელმწიფო არ ასცდენია და ერთგვარის სიძულვილით, ულმობელობით და სასტიკით ექცეოდა დაექცევა ყველა იმ მხარეებს, საცა კი თავის „კულტურასან" ფეხს შესდგავს. ამით აიხსნება ისიც, რომ 40 წლის განმავლობაში ევროპის სახელმწიფონი ზერელეთ უყურებდნენ ოსმალეთის უსამართლობას და მტარვალობას პატარა და დამორჩილებულ ერთა წინააღმდეგ. იდუმალად კი, გულში, კიდეც უხაროდათ დიპლომატებს, ოსმალეთის არსებობა, როგორც საზოგადოთ რეაქციონურ ელემენტისა ევროპაში. და თუ აქამდის არ გაწეწეს და არ გაინაწილეს—ეს მარტო ერთმანეთის შიშით კი არ აიხსნება, არამედ ერთმანეთში მორიგებითაც.

თუ ერთის მხრით, საფრანგეთის, ინგლისის და

სხვა „თავისუფალ“ ერთა თავისუფალ ცხოვრებასა და აზროვნებას გავლენა აქვს სხვა ქვეყნებზედ, მეორეს მხრით, რუსეთის, ოსმალეთის, ისპანიის და სხვათა რეაქციონური მიდრეკილებანი ამ თავისუფლების მისწრაფებათ ლაგამსა სდებს და საერთო ჯამი, ანუ ატმოსფერა თავისუფლებისა ევროპაში ისეთის სისწრაფით აღარ ივსება, არ იჟღინთება. ეს ცხადათა აქვთ წარმოდგენილი სხვა და სხვა ხარისხის მთავრობათა და მპყრობელთ და ამას დიდს ყურადღებას აქცევენ მეტადრე მაშინ, როცა „შინაური“ მტერი ძილს უფრთხობს. ინტერნაციონალისტური პროლეტარიატი, საზოგადოების, მეცნიერების კრიტიკა და აზრი ნებას არ აძლევს შინ იხმარონ ისეთი სასტიკი და უმეცარი ზომები, როგორიც გულში აქვთ, მაგრამ, თუ მათ ფარგალ გარეშე ხდება რაიმე სისასტიკე—ეს „უმაღლეს მოსაზრებით“ საკეთილოც არის. გაიხსენეთ, როგორ ეპყრობა თვით განათლებული ინგლისი ინდოეთს, ბელგია თავის „შავ კოლონიას“—კონგოს; მოიგონეთ საშინელი საქციელი ფრანგ ოფიცრებისა ალჟირში, საცა საწყალ მცხოვრებთ აყლაპინებდნენ დინამატს და „საცდელად“ აფეთქებდნენ და სხვა სხვა. საუბედუროდ, ესეთი მოვლენები მიიჩქმალება ხოლმე და მარტო მაშინ, როცა ეს რომელიმე სახელმწიფოსათვის ხელსაყრელია—ასტყდება აურზაური, რომ ქვეყანა განსაცდელშია, რომ ოსმალები ბაშიბუზუყები არიან, რომ სპარსეთის საქმეებში ჩარევაა საჭირო, რადგან ჟლეტაა საშინელი და სხვა,

ამით მე კი არ ვამართლებ სპარსეთ-ოსმალეთს, ან სხვა რომელიმე დესპოტიის სიერაგე-სისასტიკეს—მე მხოლოდ ერთხელ კიდევ ვაგონებ მკითხველს რომ პოლიტიკაში არავინ არავითარ სიმხეცეს, სი, საძაგლეს და თაღლილობას არ ერიდება, თუ კი შეუძლია რამე და ძველი შეხედულობა, რომ ევროპა დარაჯად უდგას „პოლიტიკურ ეთიკას“, სრულიად უნდა მოისპოს. ბალკანეთის სახელმწიფოთ ეს კარგად იგრძნეს, როცა მარტო თავის მახვილს დაემყარნენ და საერთაშორისო პოლიტიკურ განწყობილებით და შუღლით ისარგებლეს. ის მოვლენა, რომ ავსტრია უდიერად ეურჩის სერბიისაგან ადრიატიკის ნაპირზედ გასვლას და ალბანიის ავტონომიას ითხოვს,—საუკეთესო დამახასიათებელია „დიდ“ სახელმწიფოთა პოლიტიკისა. მხოლოდ ავსტრია პირდაპირ, თავხედურად იქცევა, ფაფხურობს, აშინებს ევროპას და მეტადრე რუსეთს საერთაშორისო ომით, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფონი, რომელნიც ოფიციალურად აცხადებენ: დაინტერესებულნი არა ვართო, ფაქტიურად მეომართ ერთმანეთზე უსევენ და თვალს აცეცებენ—სადმე რამე წაჰგლიჯონ. განა გერმანია არა სცდილობდა ოსმალეთის გამაგრებას რომ, ერთის მხრით, რუსეთს მეტოქე ჰყოლოდა ბოსფორზედ, და მეორეს მხრით,—ზურგი გამაგრებული ჰქონოდა „მეგობრისაგან“, საფრანგეთთან შეტაკების დროსა? განა საფრანგეთი არ აძლევდა ბალკანეთის ერებს საუკეთესო იარაღს, ზარბაზნებს თოფებს, რომ ოსმალეთის სამხედრო ძალა სხვა მხარეს დაექაჯა, თუ ვინიცობაა გერმანიასთან ბრძოლა მოუხდა? განა ინგლისი არ ეტრფის ეხლა ეგვიპტეს, იქნება საერთო ალიაქოთის დროს ხელში ვიგდოო? განა ყველა სახელმწიფო მოწადინებული არ არის ბოსფორის და დარდანელის სრუტე იხელთოს, რომ მათი დაცვის ძალაც შესწევდეს?

და რამდენი კიდევ საფინანსო, სავაჭრო-საეკონომიო და სხ. ინტერესებით არის გადახლართული ეხლანდელი ევროპა ოსმალ-სლავიანთა ურთიერთობასთან.

და ყველა ეს ინტერესები თავს წამოჰყოფენ „მშვიდობიან“ კონფერენციაზე, როცა ომის ლიკვიდაციას შეუდგებიან. ეხლა, მაინცა და მაინც არავისთვის ხელსაყრელი არ არის ომში ჩარევა. საომარი ატმოსფერა ხელს უშლის დამჯდარს აწონ-დაწონვას მდგომარეობისას; მებრძოლნი ჯერ არ დაშოშმინებულან და ადვილად არ დანებდებიან „გარეშე მაყურებელთა“ განაჩენს. არც თვითონ სახელმწიფონი არიან მომზადებულნი საომრად, რადგან სლავიანთა გამბედაობამ ყველა დიპლომატიის მოსაზრებას წინ უსწრო.

მაგრამ, როცა ომი დასრულდება, როცა მებრძოლთა აღფრთოვანება და მასთან ომის ჟინი დასცხრება, მოვლენ სახელმწიფონი და „მშვიდობიანად“ ფლავს მიირთმევენ. გაითვალისწინებენ ყველა pro et contra-ს, გაუსინჯავენ კბილს ერთმანეთსა და ეცდებიან მორიგებას. ასეთი განზრახვა ყველასა აქვს და მოსალოდნელიც არის მშვიდობიანად გადაჭრა „აღმოსავლეთის საკითხისა“, რადგან ერთმანეთთან ომისა ყველას ეშინიან,—ეხლანდელი ომი საზარელია,—მაგრამ კონფერენცია ჯერ კიდევ არ ჰფანტავს ომის აჩრდილებს და იქნება შორს არ არის ის დრო, როცა ოსმალეთთან ერთად

კიდევ სხვა სახელმწიფონიც დაჰკარგავენ ხარისხებს და ფრთა-ბუმბულსა.

რ. გ.

ქართველობა ბაქოში

წერილი IV

ბაქოში მცხოვრებ ქართველი ინტელიგენტის ოჯახში რომ შეხვიდეთ, რომელიმე ევროპიელ არისტოკრატის სახლში გეგონებათ თქვენი თავი. ერთ სიტყვას ქართულს ვერ გაიგონებთ, ერთ ქართულ წიგნს ვერ ნახავთ და ქართული გაზეთის ჰაჰანება ხომ დიდი ხანია აქ გაწყვეტილია

რომელიმე დაწესებულებაში რომ მიხვიდეთ და „ოცის მოტრფიალე“ ნაცნობ ქართველს შეხვდეთ, თქვენ ქართულ კითხვაზე რუსულად გიპასუხებთ და, თუ გაჯიუტდით და კითხვა მშობლიურ ენაზე განუმეორეთ, შენიშვნას მოგცემთ „რუსულად მელაპარაკე“-ო.

გული გეთუთქება, როდესაც ყურს უგდებ აქაური ქართველების რომელიმე კრებას, ყრილობას ან ქეიფს, ისე თავდება აქ ბაასი, რომ ერთ ქართულ სიტყვას ვერ გაიგონებთ.

ბაქოში შეხვდებით უმაღლეს სწავლა დამთავრებულ ქართველს, ექიმს, ვექილს, ინჟინერს, რომელმაც ქართული ლაპარაკი არ იცის; იქნება იცის კიდეც, მაგრამ მშობლიურ ენაზე ლაპარაკი სამარცხვინოდ მიაჩნია, მისგან ქართული სიტყვა ჯერ არავის გაუგონია.

აქ ისეთ ქართველსაც შეხვდებით, რომელმაც არ იცის რუსული ლაპარაკი—„მაია-თვაია“-ს ლაპარაკობს, მაგრამ მაინც თავს ძალას ატანს და „პორუსკობს“. აქ შეხვდებით ჟურნალისტს, რედაქტოს, რომელნიც ქართულ ენასთან მწყრალად გახლავან.

ერთი სიტყვით, ბაქოში მცხოვრებ ქართველობის მომეტებულ ნაწილს—„მამის სული გაუშვიათ და პაპის სულსა ჰფიცულობენ“ და რა თქმა უნდა თუ მშობელი გადაგვარების კვალს დასდგომია, მასში ქართველობის ნატამალიც აღარ დარჩენილა, შვილიც მამის გზაზე მიდის. მან ქართული წერა-ქითხვა სრულიად არ იცის, ქართულად ორი სიტყვის თქმას ხეირიანად ვერ ახერხებს და ამავე დროს არც რუსულად ლაპარაკობს კარგად. „მე ქართული კარქათ არ ვიცი“, გიპასუხებთ შვილი აქაური ქართველი ინტელიგენტისა და შემდეგ მისი მშობელისაგან გაიგონებთ—„დედა ენაცვალოს ჩემს ვახტანგს, ქართული არ იცის, მაგრამ სამაგიეროდ ისტორიულ სახელს ატარებს“.

ასეთის პასუხით გული გეწყლულება და ეკითხები შენს თავს: ნუ თუ დაუსრულებელი უნდა იყვეს ჩვენი ეს გათახსირება, გახრწნილება? სად განჰქრა ის ქართველური ძარღვი, რომელსაც ატარებდა ჩვენი მამა-პაპა. სად განიორწყლდა ის სიყვარული დედა-ენისა, რომელსაც გვიკარნახებდნენ ჩვენი წინაპარნი? სად არიან ის დედები, რომელნიც სამშობლოს კეთილ დღეობისათვის შვილებს ზვარაკად ამზადებდნენ?

7-8 წლის ბავშვი, რომელიც ამტვრევს და ღეჭავს როგორც მშობლიურ ენას ისე რუსულს მიჰყავთ აქაურ საშუალო სასწავლებელში, სადაც იგი ქართულ ენას მოკლებულია; ამას ხელს უწყობს მშობლების ამ საგანზე უზრუნველობაც და ბავშვი ისე ათავებს სასწავლებელს ისე მიდის უმაღლეს კურსებზედ, რომ ქართული ენა მისთვის იაპონურ ენად ხდება. და აი სწორედ ეს ზემოდ მოყვანილი ფაქტები გახლდათ მიზეზი, რომ ბაქოში მცხოვრები ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ერთ-ერთი წევრი აახმაურა, აამოძრავა, რომელიც გამოვიდა ბრძოლის ველზედ და სამშობლოს გულ-შემატკივართ მიმართა: „გეყოთ ძილი, გაიღვიძეთ, დაიღუპა მშობლიური ენა და უფსკრულისაკენ მიექანება-“ო. აქ აღმოჩნდა რამდენიმე კაცი, ხსენებული საზოგადოების წევრი და ამ ნამდვილ ჭირის უფალს ჩვენი ქვეყნისას მხარში ამოუდგა.

ყოველივე ამას ხელი შეუწყო კიდევ იმან, რომ მთავარმა გამგეობამ წ. კ. გ. სასოგადოებისა, 1908 წ. შეიმუშავა ახალი წესდება, რის ძალითაც პროვინციებში მცხოვრებ საზოგადოების წევრებს უფლება ეძლევათ ადგილობრივ განყოფილების დაარსებისა.

ეს იყო პირველი ნაბიჯი ბაქოში ერთად-ერთი კულტურულ დაწესებულებისა. წ. კ. გ. საზოგადოების 35 წევრმა, ადგილობრივ მცხოვრებელმა, აირჩია გამგეობა, რომელმაც შეიმუშავა განყოფილების დაარსებისათვის გეგმა, მისი მოქმედების პროგრამა, სყვარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა და 3 მაისს 1909 წ. იგი წარუდგა საზოგადო კრებას თავის მოხსენებით, რომლითაც თხოულობდა ბაქოში დაარსებას წ. კ. გ. საზოგადოების ფილიალურ განყოფილებისა, რაზედაც სრული თანხმობა მიიღო.

შემდეგ კრებამ განიხილა ქართული სკოლის დაარსების საკითხი, რომლის მნიშვნელობა და საჭიროება განიმარტებოდა იმით, რომ ქართული სკოლა დიდ დახმარებას გაუწევს აქაურ ქართველობას შვილების აღზრდაში მშობლიურ ნიადაგზე და ამით დაუახლოებს მათ თავის ერს.

კრებამ განიხილა აგრეთვე საკვირაო სკოლის საკითხი და სახალხო კითხვების მოწყობა. აქ ის დედა აზრი იყო გატარებული, რომ განსაკუთრებულ პირობებშია ბაქოში ჩამოსული უვიცი ქართველი მუშა, რომელიც იბრძვის დღიური ლუკმის მოპოვებისათვის. მისთვის საჭიროა წერა-კითხვა და ელემენტალური ცოდნის შეძენა. საჭიროა აქაურ ქართველ მუშას დიდი ყურადღება მიექცეს და მიეცეს საშუალება ცხოვრებაში გამოსადეგ უსაჭიროეს პრაქტიკული ცოდნისა.

ამასთან კრებამ მოისმინა პროექტი წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნისა, მოწყობა ქართულ ენაზე ლექციებისა, რომელიც უნდა ახასიათებდეს ჩვენს ისტორიას და ლიტერატურას. ამოირჩიეს სასკოლო, სათეატრო, სამეურნეო და საკუთარი სახლის საამშენებლო კომისიები და 3 მაისს 1909 წ. ჩაიყარა საძირკველი ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბაქოს ფილიალური განყოფილებისა.

დიახ, 3 მაისი 1909 წ. ბაქოში მცხოვრებ ქართველთა ისტორიაში ერთ შესამჩნევ ალაგს დაიჭერს. ლუკმა პურისთვის საყვარელ სამშობლო მკერდს მოწყვეტილ და გარდახვეწილ მუშას ეს დღე ჰპირდება ნუგეშს. მის დაკნინებულ სიცოცხლის დღეებს, მის დუხჭირ ცხოვრებას 3 მაისი უღვივებს სიხარულის ნაპერწკალს, მის ბნელ გონებას ეს რიცხვი უქადის ჩირაღდნების შუქით მოფენას და რამდენადაც საზოგადოების ეს განყოფილება განახორციელებს ყოველივე მას, რაც შეიტანა თავის პროგრამის ფარგალში, რამდენადაც გაატარებს იგი ცხოვრებაში ყოველიყე დაპირებულს და რამდენადაც სულს ჩაუდგამს ქაღალდზე გადატანილ ღაღადს, იმდენად ეს რიცხვი სადღესასწაულო იქნება.

შემდეგ წერილში ჩვენ გადავავლებთ თვალს ამ საზოგადოების მოღვაწეობას.

ალ. ნ—ძე.

პეტრე ბაგრატიონი

(1765—1812)

VI

1812 წელს, გაზაფხულის პირზე, დაიწყო ეგრედ წოდებული სამშობლო ომი, ის ომი, რომლითაც სამართლიანად ამაყობენ რუსები და რომელმაც ბოლო მოუღო დიდს ნაპოლეონს, ამ შეუდარებელს სამხედრო ნიჭს და ომის გენიას. სამშობლო ომმა ნაპოლეონს რომ ბოლო მოუღო და, მონარქების აზრით, „ტირანი“ ნაპოლეონი ძირს დასცა, რუსთა იმპერატორი ალექსანდრე პირველი ცამდის ასწია. ძველი ევროპა ალექსანდრეს თვის მხსნელად და მფარველ ანგელოზად სთვლიდა. იმპერატორი ალექსანდრე გაამაყებული და გალაღებული, ყელმოღერებული შევიდა გამარჯვებულის რუსის მხედრობით თვით საფრანგეთის დედა-ქალაქ პარიზში 1814 წ. და პირმოცინარი, ღიმილით და ალერსით ებაასებოდა პარიელებს. მე ნაპოლეონს ვებრძოდი და არა საფრანგეთსაო, ლმობიერად ელაპარაკებოდა ფრანგებს და მონადირებული, მოხიბლული ფრანგიც იმპერატორის საქციელით მხურვალედ ვაშას გაიძახოდა.

ასე იყო 1814 წელს, მაგრამ 1812 წელს, გაზაფხულზე, ნაპოლეონმა რომ შემოსდგა ფეხი იმპერიის სამზღვრებში, ალექსანდრე მოღუშული იყო და ანჩხლობდა.

რუსის მხედრობა ნაპოლეონის შემოსევის მოლოდინში ორ უთანასწორო რაზმად დაეწყო იმპერიის დასავლეთს სამზღვარზე. პირველს, ჩრდილოეთის რაზმს, ანუ არმიას, სადაც ითვლებოდა 100,000 კაცი, უფროსობდა სამხედრო მინისტრი ბარკლაი-დე-ტოლი, ხოლო მეორე არმიას, სადაც მარტო 45,000 ჯარის-კაცი იყო, განაგებდა თავ. პეტრე ბაგრატიონი. ეს არმია იდგა სამხრეთით, დღევანდელს გროდნოს გუბერნიაში.

ნაპოლეონის შემოსვლიდან რუსეთის იმპერიაში სულ სამი თვე ღა იცოცხლა თავადმა პეტრემ. 26 მარიამობისთვეს, 1812 წელს, სოფელ ბოროდინოს ველ-მინდორზე, სასიკვდილოდ დაიჭრა ეს შეუდარებელი მეომარი და მიიცვალა 12 ენკენისთვეს ს. სიმას, ვლადიმირის გუბერნიაში, თვის მეგობარ თავად ბ. გალიცინის მამულში, სამშობლოს მიერ ცრემლ-დაუყრელი და დაუტირალი. ამბობენ, თავადი პეტრე ჭრილობას გადურჩებოდა და ცოც-

ხალი დარჩებოდაო, მაგრამ მოსკოვიდან სიმამდის გადაყვანამ რუსეთის შემოდგომის საძაგელ ავდრე ბის დროს, ცუდმა გზამ, რომელმაც გულ-მუცელი დაუნჯღრია და აგრედვე მოსკოვის დაღუპვის გამო მოწოლილმა სევდამ და დარდმა ავადმყოფობა გაურთულა და სიცოცხლე მოუსწრაფაო.

კავკასიის ერთა ენების დიდი მცოდნე ბარონი უსლარი იმას ნატრობდა, ნეტავი როდის იქნება, რომ კავკასიის მთიელნი და ერნი ისეთისავე მოწიწებით, სიყვარულით და ნეტარებით უყურებდნენ მოსკოვს, როგორც ევროპიელნი ათინასაო. თავადს პეტრეს. მოსკოვის წახდენით გამოწვეულმა სევდამ და დარდმა სიცოცხლე მოუსწრაფა, მაშასადამე დიდი სიყვარული ჰქონია მოსკოვის ქალაქისა, რომ მისი წახდენა ვერ აიტანა. აქედან სჩანს, რომ ბატონ უსლარის ნატვრა-სურვილი დაგვიანებულადაა გამოთქმული, რადგან ზოგიერთ კავკასიელის გულში მოსკოვმა უკვე ათინის ადგილი დაიჭირა, ვიდრე საქართველოს და კავკასიას ბარონი-უსლარი მოევლინებოდა.

სამშობლო ომში თ. პეტრემ იმდენი გმირობა და საომარი სარისტიანობა გამოიჩინა, რომ მეტის წარმოდგენა ოცნების შემწეობითაც მეტის-მეტად ძნელია. თვალწინ მარტო სამშობლო ომში გაწეული გმირობა პეტრე ბაგრატიონისა რომ დავიდოთ და დროებით დავივიწყოთ მისი წარსული ღვაწლი და ამაგი, მაინც საკმარისი იქნება, რომ თ. პეტრეს სახელი ოქროს ასოებით აღინიშნოს რუსეთის სამხედრო ისტორიაში. ეს ხომ ასეა და შეურყეველია ის ფაქტი, რომ რუსის მხედრობას იმ ჟამად თ. პეტრეს ბადალი სარდალი არა ჰყოლია, მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს. რუსეთის სამხედრო ისტორიამ დღემდე ღირსეულად ვერ დააფასა ეს საკვირველი გმირი და „ომიანობის ღმერთი“, როგორღაც ალმაცერად უცქეროდა მის ღვაწლსა, მოქალაქობას და ამაგსა და სუფრის თავში ან ვის წამოასკუპებდა ხოლმე, ხან ვისა. ერთის სიტყვით პეტრე ბაგრატიონს არგუნეს საბრალო ქედნის ბედი. კუტუზოვს და ბარკლაი-დე-ტოლის, რომელთაც რუსეთი ააკლებინეს ნაპოლეონს და საატახტო ქალაქი მტვრად აქცევინეს, კარგა ხანია რაც ძეგლები დაუდგეს, ხოლო ბაგრატიონის ძეგლის დადგმაზე აქამდისინ ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

მარტო ამ ბოლოს დროს დაიწყეს სამხედრო სპეციალურ ჟურნალ-გაზეთებში ბაასი იმის გამო, რომ დროა ჩვენი ვალი მოვიხადოთ და ღირსეული პატივი ვსცეთ სამშობლო ომის გმირსა და შესაფერი ძეგლი აუგოთო. ასის წლის განმავლობაში მის ბრწყინვალე სახელს ჰჩრდილავდა სხვა მეომართა და გენერალთა სახელი; სხვისა ღვაწლს უფრო მაღლა აყენებდნენ ბაგრატიონისაზე. რად მოხდა ასე, ძნელი გამოსაცნობია. მაშინ არ არსებობდა ის „პირუტყვული პატრიოტიზმი“, რომლითაც ეხლა თავს ბრუს გვასხამენ და რად ჩაიდინა ეს მამაკვდინებელი ცოდვა რუსის ერმა და მთავრობამ, ვერ გაგვიგია. რუსის სამხედრო ისტორიას არ შეუძლიან გვიჩვენოს ერთიც არის სტრატეგიული შეცდომა, ბაგრატიონს რომ მოსვლოდეს ოცდაათის წლის განუწყვეტელ ომიანობის განმავლობაში. ეს ცოტაა, შეცდომა კი არა და სხვის წახდენილს და გაფუჭებულს საქმეს ხშირად ბაგრატიონი ასწორებდა და რუსეთისთვის საკეთილო მსვლელობას აძლევდა. ჯარის-კაცნი სწორედ რომ აღმერთებდნენ თ. პეტრეს და როცა თავისთან ჰხედავდნენ, მზად იყვნენ ციცაბო კლდეზე გადავარდნილიყვნენ და ალაპლაპებულ ცეცხლში გულადად შეევარდნილიყვნენ. ალბად ეს სიყვარული ჯარის-კაცისა და თავგამოდება იყო მიზეზი, რომ გენერალი პ. ბაგრატიონი სასწაულებს ახდენდა ლაშქარ ომიანობის დროს.

ასეა თუ ისე, დავანებოთ თავი გრძნეულ კვანძის გამოხსნას და მოკლედ და გაკვრით, როგორც აქამდისინ ვიქცეოდით, აღვწეროთ უკანასკნელი საქმენი საგმირონი თავად პეტრესი და დავამთავროთ აღწერა მის შფოთიანის ცხოვრებისა და მოქალაქობისა.

პეტრე ბაგრატიონმა წარუდგინა იმპერატორ ალექსანდრე პირველს გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა ეომოს რუსეთი ნაპოლეონს. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ როგორი იქნებოდა ეს გეგმა. მთელს თავის სიცოცხლეში ბაგრატიონი იმ აზრისა იყო, რომ ვისაც გამარჯვება უნდა მტერზე, წინ უნდა მიდიოდეს მეომარიო; უნდა მიუხტე მტერს, მეხივით დაეცე თავსა, არივ-დარიო და მტვრად აქციოვო. უკან დახევა გულს უტეხავს მეომარს, ზარსა სცემს და ალაჩრებსო. რაკი ასეთის შეხედულობისა იყო თავადი პეტრე, ეს ომისათვის გაჩენილ-დაბადებული ადამიანი, ცხადზე უცხადესია, რომ მისი სალაშქრო გეგმაც შეტევაზე იყო აშენებული. ომი უნდა სატევი და არა მოსაგერებელიო. პირველ არმიის შტაბის უფროსს პოლკოვნიკს ა. პ. ერმოლოვს ცხარ-ცხარე წერი-

ლებს სწერდა თავადი პეტრე, არა, უკან-უკან რომ იხევთ და გარბიხართ, სად მიეშურებითო...

იმპერატორმა ალექსანდრემ არ შეიწყნარა ბაგრატიონის გეგმა სატევ ომიანობისა და უპირატესობა მისცა ბარკლაი-დე-ტოლის გეგმას. ბარკლაი იმ აზრისა იყო, რომ ნაპოლეონი შუაგულ რუსეთში შეეტყუილებინა, გზა-გზა დაესუსტებინა მისი ძლიერი ლაშქარი და შემდეგ ასეთის დასუსტებისა და დაუძლურებისა ერთის დაკვრით საბოლოოდ დაემარცხებინა მტერი. ბარკლაის გეგმა, მოწონებული იმპერატორის მიერ, რუსის ჯარს არ ეყურებოდა და საშინლად ჰღელავდა, ნაპოლეონის პარპაშს რომ ჰხედავდა. ჯარი პირდაპირ თხოულობდა ბრძოლას ნაპოლეონთან და ბოროდინოსთან რომ ბრძოლა არ მომხდარიყო, უეჭველად აჯანყდებოდა.

შემოიჭრა თუ არა ნაპოლეონი რუსეთის სამზღვრებში, სისწრაფით გაემართა მოსკოვისაკენ და ამ გვარად შუაში მოექცა რუსეთის ჩრდილოეთის და სამხრეთის არმიებს. რუსის მხედრობა ორად გაიპო. დადგა ჟამი კრიტიკული.ნაპოლეონს ადვილად შეეძლო ცალცალკე გაენადგურებინა ჯერ ერთი არმია და მერმე მეორე. რაკი ამათ ბოლოს მოუღებდა, წინ ვინლა გადაეღობებოდა ნაპოლეონს. უჯარო სახელმწიფოს ნაპოლეონი თამამად უკარნახებდა თავის პირობებს და იმპერატორს ალექსანდრესაც ისე მოღუნავდა წელში, როგორც მოღუნა ავსტრიისა და პრუსიის ბატონ-პატრონნი. ხოლო თუ ნაპოლეონს კოპი ალჩუს არ დაუჯდა და რუსეთი გადარჩა გაწბილებას, გათახსირებას და სახელმწიფოს დამხობას, ამის მიზეზია თავადი პეტრე ბაგრატიონი.

რაკი ბაგრატიონის გეგმა არ შეიწყნარა იმპეტორმა და დროზედ ორთავე არმია ჩრდილოეთისა ჯ სამხრ. არ შეაერთეს,რაკი სატევ ომს არჩიეს საგერი ომი,მეტი ჯანი აღარ იყო,ბაგრატიონი უნდა დაძრულიყო ბელოსტოკიდან და წასულიყო სმოლენსკისაკენ და იქ შეერთებოდა ბარკლაის ჩრდილოეთის არმიას. აი სწორედ ესაა უდიდესი ღვაწლი ბაგრატიონისა, რომ უვნებელად შეუერთა თვისი სამხრეთის არმია ჩრდილოეთისას და ნაპოლეონს არ ჩაუვარდა ხელში.

ნაპოლეონი მალე მიუხვდა ბაგრატიონს, გასხლტომას მიპირებსო და ძლიერი ჯარი გაგზავნა გზის მოსაპრელად. ფრანგების ჯარს უფროსობდა თვით იმპერატორის ძმა, კაროლიევსტფალიისა იერონიმე და სახელოვანი მარშალი დავუ. ნაპოლეონის აზრი იყო, ჯერ ბაგრატიონის მცირე არმია გაეჟლიტა და შემდეგ ამისა მიუბრუნდებოდა ჩრდილოეთის ძლიერ არმიას.

ფიქრით ასე ჰფიქრობდა ნაპოლეონი, მაგრამ ანგარიში შეეშალა. სხვა გენერალთან რომ ჰქონოდა საქმე, ეგები საწადელი აესრულებინა და აასრულებდა კიდეცა, მაგრამ თ. პეტრემ იმედები გაუცრუა. დიდის მოხერხებით გენერალი ბაგრატიონი ხელიდან გაუსხლტა ნაპოლეონს და ქ. სმოლენსკს მშვიდობით მივიდა და შეუერთდა ჩრდილოეთის არმიას.

ეს შესანიშნავი მოძრაობა ბაგრატიონისა და მისის სამხრეთის არმიისა სულ მცირეს ხანს გაგრძელდა. 28 ივნისს 1812 წელს დაბა მირთან, ბაგრატიონი შეხვდა ვესტფალიის კაროლ იერონიმეს ავანგარდს და ლაზათიანად დაამარცხა, ხოლო 2 ივლისს ს. რომანოვოსთან გაჰფანტა მისივე კავალერია. მარშალმა დავუმ ბაგრატიონს გზა მოუჭრა ქალაქ მოგილიოვისაკენ ს. სალტანოვკასთან. ეკვეთა დავუს ბაგრატიონის არმიის გენერალი რაევსკი, კარგა ხანს გაუძლო იერიშს, დიდადაც ისახელა თავი, მაგრამ ბაგრატიონი მაინც იძულებული გახდა გამოტრიალებულიყო უკან. დაადგა ქ. ნოვი ბიხოვის გზას, გავიდა დნეპრში და მსტისლავის გზით ავიდა სმოლენსკს 17 ივლისს, სადაც შეუერთდა პირველს არმიას.

უსახელო ავტორი სამხედრო ენციკლოპედიაში მოთავსებულ ბიოგრაფიისა გაკვირვებულია იმ გარემოებით, რომ სატევის ომის მოტრფიალე ბაგრატიონმა თავი შეიკავა ქ. მოგილიოვთან, დროზე მოერიდა გადამწყვეტს ომს და ასეთის თავშეკავებით გადაარჩინა მთელი არმია განადგურებასო. რა ნაირად ეტრფოდა ბაგრატიონი სატევს ომს და რა ნაირად სძულდა საგერი ომი ნათლად სჩანს ერთის წერილიდან ა. პ. ერმოლოვთან.„რომ მირბიხართ, სად მირბიხართ? უნდა შეუტიოთ მტერს... 100.000 ჯარის კაცი გყავთ, რად ერიდებით ომსა... ელდისა და დარდისაგან გული მიწუხს და სული მიგუბდება... მრცხვენიან, რომ სამხედრო მუნდირს ვატარებ. ღმერთს გეფიცები, ავად ვარ. მაგრამ თუ პირველი არმია მტერს შეუტევს, ოო, მაშინ სულ სხვა იქნება, უმალ განვიკურნებიო“ ძლიერი სულის სიდიადეა საჭირო, რომ ასეთმა გენერალმა დროზედ თავი შეიკავოს და გიჟურად მტერს არ მიეხიოს. თ. პეტრემ გამოიჩინა ეს სულის სიდიადე მოგილიოვთან და აკი კიდეც გადაარჩინა არმია დაღუპვას.

ბაგრატიონი იმ აზრისა იყო, რომ შეერთებული რუსის მხედრობა უნდა დასტაკებოდა ნაპოლეონს ქ. სმოლენსკთან, ბარკლაი კი თვის გეგმას არ ღალატობდა და უკან-უკან იხევდა მოსკოვის გზით. ბაგრატიონი ბრაზობდა და ჯავრობდა. გრაფ არაჩეევს მისწერა წიგნი, ბარკლაისთან სამსახური შეუძლებელიაო.

ორი სარდალი ერთს ტაფაში ვერა თავსდებოდა და ასეთის შეღლისაგან, უეჭველია, რუსის არმიას ხეირი არ დაეყრებოდა.

თვით ჯარის სურვილი ის იყო, რომ მთავარ სარდლობა ჩაჰბარებოდა ბაგრატიონს. „ნემეცს“ ბარკლაის ჯარი არ ენდობოდა. პეტერბურგმა არ შეისმინა ხმა ჯარისა და მთავარ სარდლად დანიშნა მოხუცი კუტუზოვი. ახალი სარდალიც ბარკლაის გეგმას დაადგა, აჰყარა ჯარი და 25 აგვისტოს დაბანაკდა ს. ბოროდინოსთან.

აქ, 25 აგვისტოს 1812 წელს, მოხდა ის შესანიშნავი ბრძოლა, რომლის ასისთავიც წრეულ იდღესასწაულეს და რომელმაც ბოლო მოუღო სახელოვან გმირის თ. პეტრე ბაგრატიონის ცხოვრებასა და მოქალაქობას.

ალ. ფრონელი.

წვრილი კრედიტი კახეთში

კახეთში ძლიერ გახშირდა წვრილი კრედიტის დაწესებულებათა დაარსება ამ მოკლე ხანში. ეს ითქმის მეტადრე სიღნაღის მაზრაზედ, სადაც მის დაარსებას ხელს უწყობს აქაურ სოფლების სიდიდე, და მრავალრიცხოვანობა სიღნაღიდგან თელავის მხრივ, მაგალითად, სულ ოორმეტი ვერსის მანძილზედ, არსებობს უკვე ხუთი სოფლის ბანკი: ანაგასა, კარდანახსა, ბაკურციხეს, გურჯაანსა და ველისციხეში. მე არას ვიტყვი იმაზედ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ბანკებს იმ დროს, როდესაც სოფლის მევახშეობა უკიდურეს წერტილამდის არის მიღწეული. რაც მალე მოეღება ბოლო მევახშეთა მგლურ მადას, მით უფრო მალე ამოისუნთქავს თავისუფლად სოფლის მოჭირნახულე ნამდვილი მუშა; ვიტყვი მხოლოდ, რომ, რაც უფრო ძვირფასია ეს დაწესებულებანი, როგორც მისწრება მშრომელი ხალხის ეკონომიურ შეღავათისთვის და მთელი ჩვენი ხალხის ფეხზედ დასადგომად მით უფრო დიდი სიფრთხილე და შორს მჭვრეტელობის გამოჩენა გვმართებს დაარსებიდგანვე მათ საფუძვლიანად დასაყენებლად და სათანადოთ განსავითარებლად. მხოლოდ ის არ კმარა, რომ ამა თუ იმ სოფლად წვრილი კრედიტი დაარსდეს; საქმე ის არის, დაარსდეს, განვითარდეს, გაფართოვდეს წარმოების შინაარსით და იარსებოს კიდეც დიდხანს, ვიდრე ამგვარი კოოპერაციაც დიდად საჭიროა ჩვენი ხალხისათვის და ვიდრე მათ ნაცვლად სხვა უფრო მნიშვნელოვანი კოოპერაციები შეიქნებიან. ამ მოწადინების ასრულება კი მხოლოთ მაშინ შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ ეხლავე რა ნაკლი, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ რა დაბრკოლებანი ჩნდება მათ არსებობის დროს. როგორც ვიცით, ყოველ საქმეს სჭირდება მწარმოებელი ანუ მოთავე და მეც აქედგან დავიწყებ. წვრილ კრედიტის დაარსებიდგანვე, სათავეში, ე. ი. გამგეობაში და საბჭოში ძალაუნებურად ხვდება სოფლის ინტელიგენცია: მღვდელი, მწერალი, მასწავლებელი (თუ არის), უკეთეს შემთხვევაში ფოსტის მოხელე, ექიმი და სხვა. როგორც ეტყობა, ეს ელემენტი ჯერ ერთი რომ ცვალებადია თავის სოციალური მდგომარეობის დაგვარად, მეორეც, თავისუფალი არ არის, რადგანაც თავისი სამსახური აქვს და დანარჩენ თავისუფალ დროს თუ მოახმარს, როგორც ქველმოქმედი, ამ დაწესებულებაში მუშაობას. სამწუხაროდ ადგილობრივი ინტელიგენცია ყოველთვის ძლიერ ნაკლებია სოფლად, ან თუ არის ბრწყინვალე წოდებისა, იმასაც „არა სცალიან“ ამ „მოსაწყენი“ საქმისთვის. ამ გვარად, წარმოების ბედიღბალი დამოკიდებულია მთლად ზემოხსენებულ ინტელიგენციის კეთილ მოსურნეობაზედ ანუ ქველმოქმედურ საქმიანობაზედ. მაგრამ სიმართლე მოითხოვს ვსთქვა, რომ მაინც პირველში საქმე გვარდება და სოფლის ბანკი იწყობს არსებობას და ზოგან კარგი მომავალიც უჩანს. ჯერ-ჯერით მუშაობენ უსასყიდლოდ ზემოხსენებული პირნი და საქმესაც აგვარებენ. ესე მიდის საქმე ვიდრე მარტივია ბანკის წარმოება, სანამ მასში ცოტაა ფული და სანამ ფულის გატან-შემოტანა ხდება ჯერ-ჯერობით წლის თითქმის **ორ ხანას**—გაზაფხულს გასატანად და შემოდგომის დამლევს—ფულის შემოსატანად. მაგრამ ხომ უნდა გაიზარდოს ბანკის თანხა იქამდის, რომ ოპერაციებიც ყოველდღე უნდა

სწარმოებდეს, მაშინ ცხადი ხდება დაბრკოლება, რადგანაც ან მწერალია მოუცლელად, ან მღვდელი და სხვა. მაშასადამე, იბადება აზრი და საჭიროებაც სპეციალურად დახელოვნებულ მოანგარიშის ყოლისა შემდეგში, ყოველი სოფლის ბანკისთვის. აი სწორედ ამ მოსაზრებაზედ მინდა მიუთითო იმათ, ვისაც კოოპერაციის განვითარება აინტერესებს ჩვენში და მუშაობს კიდეც ამ ნიადაგზედ, რადგანაც ყოველ სოფლის ბანკს შემდეგში მოგება უგროვდება და ეზრდება, ცხადია, ერთი მოანგარიშისთვის ჯამაგირის გაღებას შესძლებს კიდეც და კრედიტის ამხანაგობა მოვალეც არის ხარჯი გაიღოს.

ქველმოქმედური მუშაობა ამისთანა მომგებ დაწესებულებისთვის დიდხანს ვერც გასტანს და არც არის სასურველი. ხალხის აღმზრდელობითი მნიშვნელობის მოსაზრებით და საქმის მკვიდრ ნიადაგზედ დაყენების მხრივაც ხალხ უნდა მიეჩვიოს იმ დებულებას, რომ **ყოველი შრომა** უნდა **დაჯილდოებული** იყოს სარგებლობიანობის დაგვარად; ვისაც გასამრჯელოს მისცემს, იმას სათანადოთაც **მოსთხოვს** საქმის მოგვარიანებას. თუ ეს მოსაზრება სამართლიანია, მაშინ იბადება კითხვა, როგორ უნდა მოეწყოს საქმე სოფლის ბანკებისთვის საჭირო მოანგარიშეთა კადრის შესაქმნელად.

საქმე ადვილია, თუ სათავეში ჩაუდგება რომელიმე მომქმედი ჯგუფი. უნდა დაარსდეს ახლო მომავალში ორკვირიანი ან ერთი თვის ვადიანი პრაქტიკული საანგარიშო კურსები იმათთვის, რომელთაც გაუთავებიათ სამოქალაქო სასწავლებლები და საერთოდ იმათვის, რომელნიც შეადგენენ საშუალო ინტელიგენციის უმუშევრო ნაწილს და უნებლიედ გოლოვინის პროსპექტს „სცვეთავენ“ ხშირად. რასაკვირველია, ამათ თან უნდა ახლდეთ ბუნებრივად თანშეზრდილი კეთილ სინდისიერების და სოფლის ხალხის სამსახურის გრძნობა. ესეთები, ჩემის აზრით, გამოსადეგნი არიან და თუ მოგვარდება საქმე, მაშინ ყოველ სოფლის ბანკს შეუძლიან გაზეთის განცხადებითაც კი მოიწვიოს საკუთარი მოანგარიშე. ჯერ ამით გავათავებ სოფლის ბანკების შესახებ.

ძევერელი.

ებრაელები პოლონეთში

—::—

რუსეთში მოსახლე 6 მილიონ ებრაელის უმრავლესობა პოლონეთში სცხოვრობს მიუხედავად იმისა, რომ ოვით პოლონელები სკმაო ეკონომიურ ძალას წარმოადგენენ, პოლონეთში ებრაელებს მაინც დიდი ვაჭრობა და ადებ-მიტემობა აქვთ; მსხვილი მრეწველობა და სავრედიტო დაწესებულებანი ებრაელების ხელშია და პოლონელთათვის ასეთი გარემოება ხელსაყრელი არ არის. პოლონელ მიწის მფლობელთა და მიწის მომქმედთა დავალიანება დიდ ზომამდე არის მიღწეული და ხშირად მაი ბედი ებრაელთა კაპიტალზეა დამოკიდებული. მთელი რიგი ქალაქებისა **ებრაელთა ხელშია**. ასეთი გარემოება ძალიან აფიქრებს პოლონეთს და პოლონეთის ცნობიერმა საზოგადო მოღვაწემ დმოვსკიმ ამას წინად პრესის საშუალებით განაცხადა პოლონეთის დახსნა ებრაელებისგან კიდევ შესაძლებელია, თუ შეძლებული მეამულენი (რომელნიც უმთავრესად საგვარეულო არისტოკრატიას ეკუთვნიან და რომელთაც აურაცხელი შეძლება მოეპოვებათ) გამოისყიდიან ებრაელებისგან ყველა სამრეწველო და სავაჭრო საქმეებსო.

მდგომარეობა მეტად კამწვავებულია. უკანასკნელმა არჩევნებმა ხომ უარესად გაადრმავეს პოლონელთა და ებრაელთა დამოკიდებულება და საქმე ბოიკოტამდე მივიდა. რუსეთის გაზეთებში ცნობებია დაბეჭდილი, რომ პოლონელმა ფირმებმა აკარებელი მოსამსახურე ებრაელი დაითხოვეს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათაგან და თითონაც ბოიკოტი გამოუცხადეს ვაჭარ ებრაელებსო. ეს მოვლენა კი შემდეგმა გარემოებამ გამოიწვია.

ვარშავის არჩევნების დროს ებრაელებმა სოციალისტ დეპუტატს მისცეს ხმა და ამ რიგად ნაციონალისტი დეპუტატი გაუშვეს. ამ გარემოებამ ისე აადელვა მთელი ვარშავის საზოგადოება, რომ ებრაელებს სასტიკის ბოიკოტით გასცა პასუხი. ვინც იცის, თუ რა ხასტიკი საშუალებაა ბოიკოტი ვაჭრობისთვის, თუ რამდენ ზარალს მიაყენებს ის ებრაელებს და ვინც იცის აგრეთვე ისიც, თუ რა თავგამოდებით იციან პოლონელებმა ასეთ შემთხვევაში მოქმედება, ადვილად წარმოიდგენს, თუ მართლა რა თავზარ დამცემ საშუალებისთვის მიუმართავს ვარშავის ებრაელების წინააღმდეგ.

ნარევი

ყურანის წინააღმდეგ

უდაბნოში მცხოვრები არაბთა ერთი თემი წინააღმდეგი ეოფილა მაჰმადის ყურანისა, შემდეგის მოსაზრებით: მაჰმადის სარწმუნოება ჩვენთვის არ არის გაჩენილიო, „როგორ უნდა ვიბანოთ, როცა დასალევი წყალიც გვაკლია? როგორ გავიღოთ მოწყალება, როცა ჩვენ თვითონ არაფერი გვაქვს? რად წავიდეთ მექაში, როცა დმერთი ყველგან არისო? და რად ვიმარხვოთ რამაზანში, როცა მთელ წელიწადს მშიერები ვართო.

——

ერთი გაზეთის რედაქტორი სიდნეიში, თურმე ფულად აფასებს იმ დროს, რომელსაც ართმევენ სხვა და სხვა მიმსვლელნი. ვისაც მისი ნახვა სურს, ტალანში უნდა ბილეთი იყიდოს რომლის ფასი ასეთია: ერთი საათით ბასი—10 შილინგი, $^1/_2$ საათით—6 შილ. და 15 წუთით—3 შილინგი.

——

ლონდონში, ამ ხანად უცნაური დოლი მოუგონიათ. ეჯიბრებიან ერთმანეთს დალაქები, ვინ უფრო მალე გაპარსავს და გაჰკრეჭავს ადამიანს.

გამოჩენილი ტედი ვიჩი, დალაქების მეფედ წოდებული, დაენაძლევა ვილიამ ლოიდს 250 მანეთზედ, რომ იგი უფრო მალე გაჰკრეჭს მსურველთ. მუქთად გაკრეჭის მსურველი იმდენი მოგროვებულა, რომ პოლიციის ჩარევა დასჭირებია საქმეში. 15 წუთის განმავლობაში ვიჩს გაუპარსნია 20 და გაუკრეჭია 15 კაცი, ლოიდს კი მარტო 15 გაუპარსია და 14 გაუკრეჭია. ორი სამი კაცი ისე დაუჭრიათ, რომ დოლის შემდეგ, ამბობდენ, ორთავ დალაქს დაატუსაღებენო. მაგრამ, ამ ამბავში ყველაზედ ძალიან გაუკვირვებია ხალხი ვიჩის პატარა ქალს, რომელსაც 6 წუთის განმავლობაში გაუპარსია 5 კაცი და ერთისთვისაც თმები სულ დაუწიწკნია.

ჩვენი ფოსტა

კვინიხს: დედა ნახე, მამა ნახე შვილი ისე გამონახეო: სახელი რა გაქვს ნაშრომი რა გექნება?

ალ. ჭინჭარაძეს: უცნაურს ბრძანებთ: „გონიერი, ზღვის ტალღებში მძიმე საგანივით იძირება და უმეცარი, მჩატესავით ტივტივებსო“—აბა სცადეთ.

ალე ორპირელს: „დედინაცვალმა (?) ერთ დღეს გამიწყრა თავში მირტყამდა...“ ამის შემდეგ ხომ არ დაგჩემდათ ლექსთა წერა?

აქილესს: კარგია, დაგვიანებული რომ არ იყვეს.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველა ხელის მოსმწერთ, გვაცნობონ ხოლმე დროზედ, თუ ჩვენი ჟურნალის №№.. არ მიუვათ, რომ თადარიგი დავიჭიროთ.

აგრეთვე ვსთხოვთ ყველას, ვისაც ფული არ გადაუხდია, მალე გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოესპობათ ჟურნალის გზავნა.

ხელნაწერები არავის არ უბრუნდება.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი"-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა": ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა": ღვინის გადაღებ-გადმოღება.

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი" დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის" საზოგადოების წევრებს ერთად აქვთ 866 $^1/_2$ დესეტინა ვენახი სადმაც უზიდავენ საზოგადოებას

ნამდვილ კახურ ღვინოს.

ძალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების" გაფართოვება—გაძლიერება, მის წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი".

სტამბა „კალანდაძისა გაბაანთ შესახ. № 4.